



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 583

22/03/2018

ქალაქი ბათუმი

583-05-4-201803221848



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაოს აღწერილობა) დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქცია (სამუშაოს აღწერილობა) თანახმად დანართისა.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაოს აღწერილობა) დამტკიცების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 12 მარტის №532 ბრძანება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაოს აღწერილობა) დამტკიცების შესახებ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 12 მარტის №535 ბრძანება.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 30 მარტიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა